

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გვიად ცეკვაჯას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	89	100

გიორგი გზობაჯა

თარიღი :

17.09.2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ზვიად ცეკვაძას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ზვიად ცეკვაძა**.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ზვიად ცეკვაძას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „ორგანული კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „ორგანული კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **ზვიად ცეკვაძე** არის გაწონასწორებული, გონებაგახსნილი, დირსეული, სამართლიანი, ობიექტური, პატიოსანი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი პიროვნება. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი ზოგიერ შემთხვევაში კომუნიკაციისას არის ზედმეტად თავშეკავებული და ოდნავ დაძაბული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, **ზვიად ცეკვაძე** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ზვიად ცეკვაძე** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ზვიად ცეკვაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/16.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 10.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *სისხლის სამართალში* ზვიად ცეკვაძემ სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, მეტწილად აქვს თეორიული ცოდნაც სისხლის სამართალში და გააჩნია სასამართლო პროცესის წარმართვის სათანადო უნარ-ჩვევები, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *ადმინისტრაციულ სამართალში* ზვიად ცეკვაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს მის პრაქტიკაში გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. ასევე იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. *სამოქალაქო სამართალში* ზვიად ცეკვაძემ წარმოაჩინა როგორც თორიული, ისე სასამართლო პრაქტიკის

სიდრმისეული ცოდნა, შეუძლია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, მან სამომავლოდ უნდა გააუმჯობესოს წერიტი გადმოცემის უნარები.

ზვიად ცეკვაძასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი კარგად იცნობს სამოქალაქო, ისე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვაძა** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მანასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, კანდიდატს კანონმდებლობის სიდრმისეული ცოდნის გამო შეუძლია სამართლებრივი ნორმები სწორად მიუსადაგოს კონკრეტულ სიტუაციას, მისი მსჯელობა დამაჯერებელია, ხოლო დასაბუთება - ლოგიკური და გასაგები.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს ძირითადად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

დასკვნა: სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვაძა** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ზეპირი კომუნიკაციისას **ზვიად ცეკვაძა** მეტველებს გამართულად, აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად, ამასთან განსხვავებულ აზრს უსმენს მშვიდად და გაწონასწორებულად. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე იყო საკმაოდ მობილიზებული, მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები სამართლებრივად კარგად იყო მომზადებული. გრამატიკული და რედაქციული ხასიათის უზუსტობები არ გამოვლენილა. გამოირჩევა მაღალი წერის კულტურით, რაც გულისხმობს როგორც სტილისტურად და გრამატიკულად გამართულ წერას, ასევე აზრის ნათლად და დაკვირვებით დაფიქსირებას, ლოგიკურ და დასაბუთებულ მსჯელობას.

დასკვნა: წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვავა** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის მიზანდასახული, პუნქტუალური, შრომისმოყვარე, გამოირჩევა თავაზიანობით და აქვს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვავა** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ზვიად ცეკვავა მუდმივად ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, მოტივირებულია გაეცნოს საკანონმდებლო სიახლეებს.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- 2022 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვავა** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმით **ზვიად ცეკვავას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ მას აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი. შეუძლია დისკუსია, მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე, რა დროსაც პოზიციას გამოხატავს თავისუფლად.

ზვიად ცეკვავამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- მართლმსაჯულების სკოლა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, USAID, ევროსაბჭო, 2023 წელი;
- სამუშაო შეხვედრა გადახდისუნარობის ახალი კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე - USAID, CLDP, 2023 წელი;
- რეგიონალური კონფერენცია „თანამედროვე გადახდისუნარობის სისტემის გამოწვევები“ - ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთან ასოციაცია, USAID, CLDP, 2023 წელი და სხვა.

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ზვიად ცეკვავა** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ზვიად ცეკვაია** სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **89** (ოთხმოცდა ცხრა) ქულა.

გიორგი გზობაია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი